



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №14

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 26 ნოემბერი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|-----------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე; |
| ელგუჯა ანდრიაძე | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |

- ბესარიონ გოგოტიშვილი - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- დიმიტრი ჭეიშვილი - საკრებულოს წევრი;
- ნაზი ფუტკარაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი;
-
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ლელა სურმანიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე;

ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - სულხან ევგენიძე;

ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯაბა ბერიძე;

ა(ა)იპ - „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორი - ჯუმბერ კობალაძე;

ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი - თენგიზ აფხაზავა;

შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორი - ლევან დავითაძე;

შპს “ შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ დირექტორი - დავით ლეკვეიშვილი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა მოქმედი დეპუტატის ნაზი ფუტკარაძის ძმა, მომავალი საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ნუგზარ ფუტკარაძე, კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა გარდაცვლილთა ოჯახს და საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო. მან ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 18 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით აღნიშნეს:

მირდატ ქამადაძე - მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, საბჭოთა სოციალისტური ბათუმის საკრებულოს, იმიტომ, რომ საკრებულოს ირგვლივ რაც ხდება დემოკრატიისკენ შორსაა. მან წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხის ამოღების თაობაზე, რადგან გუშინ რაც მოხდა ბიუროს სხდომაზე არ იყო სასიამოვნო. ზოგადად თვითმმართველობა ასე არ უნდა მუშაობდეს. დღეს ამ საკითხს თუ განიხილავს ვადაგასული საკრებულო მომავალში არც ჩვენთაგანს არაფერი ემახსოვრება ერთადერთი სამახსოვრო ფოტოს გარდა. დღეს, ვინც ამ ბიუჯეტს ხელს აუწევს და მიიღებს მას გონია, რომ 2017-2021 წლის საკრებულო დიდ პოლიტიკურ ნეხვს აკიდებს ამათ. ვინც აპირებს მომავალში პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებას უნა გესმოდეთ, რომ ვადაგასული წევრი, როდესაც არ ამღევს საშუალებას ახალ საკრებულოს იმსჯელოს ბიუჯეტზე და დღეს ვინც აუწევს ხელს თითოეული თქვენთაგანი იკიდებს ზურგზე იმ პოლიტიკურ ნეხვს, რომელიც დაგროვდა ბოლო ორი თვის განმავლობაში ქართულ ოცნებაში.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგიდან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის კორექტირებული ვარიანტის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

მომხრე - 6 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ნ. ფუტკარაძე, თ. კახიძე, დ. ჭიშვილი, ნ. ძიძიგური)
წინააღმდეგი - 15

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თეზიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის კორექტირებული ვარიანტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

4. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კოშკი) სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ნიკოლოზ გოგოლის ქუჩა N11გ-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის №104ა-ს მიმდებარედ არსებული 185,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

12. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15.15211174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

15. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის 2021 წლის 01 ივნისს დადებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 6 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

18. „ქალაქ ბათუმში, ახალი ბულვარის მიმდებარედ, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასაწყისში, წრიულთან არსებულ მწვანე ზოლში, ლეხ კაჩინსკის ძეგლის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ნ.

ფუტკარაძე, თ. კახიძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2(ნ. ძიძიგური, დ.

ჭეიშვილი)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - მისთვის კატეგორიულად მიუღებელია დღეს რაც ხდება, რადგან ადგილობრივი თვითმმართველოს არჩევნები არ იყო სამართლიანი და არც თავისუფალი. წარმოუდგენელი ზეწოლის და დაშინების მომსწრე იყო, პარტია „საქართველოსათვის“ მოახერხა და მთელი საქართველოს მასშტაბით რიგ საკრებულოებში მათი ხმა გადაამწყვეტია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეებს აღარ უნდათ ერთპიროვნული მმართველობა, არც ქართული ოცნება და არც ნაციონალური მოძრაობა. მოქალაქეებს უნდათ სანდო, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და პრაგმატული ადგილობრივი თვითმმართველობა, რომლებიც ანგარიშვალდებული იქნებიან მოქალაქეების წინაშე. მოუწოდა, რომ სცენ პატივი მოქალაქეებს და მათ გადაწყვეტილებებს, მისცენ ახალი მოწვევის საკრებულოს შესაძლებლობა დაამტკიცონ 2022 წლის ბიუჯეტი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი დოკუმენტია. ეს პროცესი აზიანებს საკრებულოს, როგორც ინსტიტუტს, პოლიტიკურ ორგანოს, რომელიც არის მთავარი დასაყრდენი ძალა ადგილობრივი თვითმმართველობის.

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტკარაძე - დღევანდელი საკრებულო ემსახურება პირად ინტერესებს და არა ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე დღევანდელმა მმართველობამ შვილი დაუტოვა უმუშევარი და იმსხვერპლა მძის სიცოცხლე. მას ახალი საკრებულოს პირველი სხდომა უნდა გაეხსნა, თუმცა მოქმედი საკრებულო სავარძლებს ვერ თმობს. დღევანდელ დღეს ვინც 2022 წლის ბიუჯეტს უკნონოდ მხარს დაუჭერს ხელს გაისვრის ბოროტებაში.

საკრებულოს წევრი თემურ კახიძე - მან წამოაყენა პირველ და მე-14 საკითხის ირგვლივ წინადადებები, რომ მხარს არ უჭერს, რადგან დემოკრატიაში პოლიტიკა არის კომპრომისების შეთანხმება, რომელიც უნდა მოხდეს იმ გადაწყვეტილებით, რაც ბათუმის მოსახლეობამ აირჩია შემდეგი მოწვევის საკრებულო და 2022 წლის ბიუჯეტი ამ კომპრომისულ ვარიანტში უნდა იყოს მიღებული და თქვენ არა გაქვთ ის, რომ კომპრომისი გამონახოთ ნებისმიერ დეპუტატთან.

საკრებულოს წევრი მირდატ ქამადაძე - მან იკითხა დეპუტატებთან, რომ მათ 4 წლის განმავლობაში რამდენი ინიციატივა აქვთ შემოტანილი, ასევე იმ დეპუტატების აზრი აინტერესებს, რომლებსაც საკუთარმა პარტიამ სიაში არ ჩასვა, არ ენდო და ამ ხალხს ეუბნებით ბათუმის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას. დღევანდელი საკრებულო არ უნდა ჩატარდეს ყოველგვარი ხმაურის გარეშე. ამიტომ მას ხელთ უჭირავს შპრიცი, რომელშიც არის ნივთიერება სრულიად უწყინარი, უბრლოდ აქვს ისეთი სუნი, რომ აქ ვეღარ გაჩერდებით. ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის ნივთიერება - ამტკიცებდა და სხდომის ჩაშლას ადასტურებდა.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 11.30 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდნენ: მ. ქამადაძე, ნ. ღუმბაძე, ნ. ფუტკარაძე, დ. ჭეიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის კორექტირებული ვარიანტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დადგენილების პრეამბულაში დამატებული იქნა წინადადება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე დადგენილების მე-3 მუხლში წინადადება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შეიცვალა და წარმოდგენილია შემდეგი სახით: „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება

საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 248 117,0 ათას ლარს. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 76,162.6 ათას ლარს. საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად. მათ შორის: ქონების გადასახადი - 29,000.0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადები - 47,162.6 ათასი ლარი. ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 111,000.0 ათასი ლარით: მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები - კაპიტალური ტრანსფერი - 55,599.9 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 55,400.1 ათასი ლარი. 2022 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 38 254,4 ათასი ლარის ოდენობით: საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,854.4 ათასი ლარის ოდენობით. აქედან: - პროცენტების სახით დაგეგმილია 500.0 ათასი ლარის მობილიზება; - რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,354.4 ათასი ლარის ოდენობით. • საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 29,600.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: - სანებართვო მოსაკრებლები - 500.0 ათასი ლარის ოდენობით. - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 27,500.0 ათასი ლარის ოდენობით. - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 3,600.0 ათასი ლარის ოდენობით. • ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 300.0 ათასი ლარის ოდენობით. • შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 500.0 ათასი ლარის ოდენობით. არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 22.700.0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 254 047,4 ათას ლარს. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად: • ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 60.8% - 154 565,4 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის: - შრომის ანაზღაურება - 27 616,8 ათასი ლარი - 10,9%; - საქონელი და მომსახურება - 48 800,1 ათასი ლარი - 19,2%; - პროცენტი - 12,762.3 ათასი ლარი - 5,0%; - გრანტები - 15.0 ათასი ლარი; - სუბსიდიები - 16 447,7 ათასი ლარი - 6,5%; - სოციალური უზრუნველყოფა - 11,978.5 ათასი ლარი - 4,7%; - სხვა ხარჯები - 36 945,0 ათასი ლარი - 14,5%; • მთლიანი ასიგნებების 25.9% - 65 797,4 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე. • ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 33,684.6 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 13.3%-ია

• პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად: - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (მთლიანი ასიგნების - 22,3%) - 56 562,5 ათასი ლარი, მათ შორის: ა) სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მთლიანი ასიგნების - 18,3%) - 46,446.9 ათასი ლარი, აღნიშნულ ღონისძიებაში სრულად არ არის ასახული გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება კერძოდ 2020-2021 წელს გადავადებული სესხის ძირი თანხები, რომელთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილია შუამდგომლობა

საქართველოს მთავრობის წინაშე, "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტთან" დაკავშირებით არსებული სასესიო ვალდებულებების (ძირითადი და საპროცენტო თანხები) მომსახურების ვადის ცვლილებაზე, საურავების დარიცხვის გარეშე; ბ) სარეზერვო ფონდი (მთლიანი ასიგნების - 0,7%) - 1,850.0 ათასი ლარი; გ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 100.0 ათასი ლარი; - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (მთლიანი ასიგნების - 41,6%) - 105 658,0 ათასი ლარი; - ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (მთლიანი ასიგნების - 9,0%) - 22 924,9 ათასი ლარი; - განათლება (მთლიანი ასიგნების - 11,0%) - 27 855,1 ათასი ლარი; - კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (მთლიანი ასიგნების - 5,0%) - 12 721,6 ათასი ლარი; - ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (მთლიანი ასიგნების - 7,2%) - 18 408,6 ათასი ლარი; - ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება (მთლიანი ასიგნების - 0,8%) - 2,010.0 ათასი ლარი; - მუნიციპალური სერვისების განვითარება (მთლიანი ასიგნების - 3,1%) - 7 906,7 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ნაშტის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 5 930,4 ათას ლარს, აღნიშნულიდან - 833.4 ათასი ლარი, ქალაქ ბათუმში 26 მაისის ქუჩა ქ. N13-ში (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად) მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით ჩარიცხული თანხაა.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადასაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გასული ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ბიუჯეტი გაზრდილია, საკრებულოს შენიშვნები წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია. დარწმუნებულია, რომ ბათუმისთვის ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - დასვა კითხვა თუ ვის ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა ბიუჯეტის შესრულებაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტის შესრულებლობისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება აღმასრულებელ ორგანოს, რადგან შედგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. აღნიშნული პროექტის შედგენაზე ჰქონდათ ინტენსიური და აქტიური მუშაობა, მათ შორის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეებთან გაიმართა საჯარო შეხვედრები და ასახულია თანამოქალაქეების ყველა ის თხოვნა, რაც წამოაყენეს.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - ახალი დეპუტატების მოსაზრებებიც უნდა ისმოდეს ბიუჯეტის დამტკიცებისას. ის დემონსტრაციულად ტოვებს დარ-

ბაზს და საკითხების განხილვაში არ მიიღებს მონაწილეობას.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე - აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვა ადმინისტრაციულ ერთეულებში გაიმართა, სადაც ესწრებოდა და მონაწილეობას ღებულობდა მის შედგენაში. ძალიან ბევრი სასიცოცხლო ობიექტია ჩადებული, ასევე ხელფასების გაზრდა დადგენილია საქართველოს ბიუჯეტში 10%. საქართველოს მასშტაბით პოლიტიკური თანამდებობის პირებს ერთი თეთრითაც არ ეზრდებათ ხელფასი. მომავალი საკრებულოს ფუნქციას ბიუჯეტს გაუწიონ კონტროლი. ოპოზიციურ პარტიას არ წარმოუდგენია ბიუჯეტის განხილვისას ერთი შენიშვნაც.

ირაკლი პატარიძე - სიამოვნებით დაუჭერს ბიუჯეტს მხარს, რადგან ბათუმს სჭირდება ხვალინდელი დღე, ბიუჯეტი საკმაოდ გაზრდილია. დარწმუნებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია თითოეულ თეთრს მოახმარს ქალაქის კეთილდღეობას. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიას, რომლებიც ვადაგასულს უწოდებდნენ, უბრალოდ რჩევას მისცემს, რომ კოდექსში ჩაიხედონ და ნახონ ვადაგასული და სახედაკარგულები არიან და მათ არ აკეთებენ ისეთს, რაც კანონს ეწინააღმდეგება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15
არ ესწრებოდა: 1(თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

საკრებულოს წევრმა ნერიმან ცინცაძემ შეუძლებლობის, ჯანმრთელობის გამო დროებით დატოვა სხდომათა დარბაზი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე, გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით; წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და ნაშთი; წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მცირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები - 6,331.0 ათასი ლარით. მათ შორის: წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 5,497.5 ათასი ლარით. ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია განმარტებით ბარათს თან ერთვის დანართის სახით. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში საჭიროა ცვლილებების განხორციელება, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის (2 500 000 ლარი) გამოყოფა საჭიროებს სამართლებრივ პროცედურებს შესაბამისად, 2021 წლის ბიუჯეტში ფინანსური დახმარება გათვალისწინებულ იქნება საბიუჯეტო პროცედურების მიხედვით, კერძოდ დაზუსტებით, რაც ეცნობება საკრებულოს, ყოველივე ამის გათვალისწინებით შემოსულობების წარმოდგენილ ცვლილებებში საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზრდება 3 831 020 ლარით, ნაცვლად 6,331,020 ლარისა ხოლო გადასახდელები გაიზრდება 2 997 500 ლარით, ნაცვლად 5,497,500 ლარისა (აღნიშნული თანხა წარმოადგენს შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-სათვის მუნიციპალური ავტობუსების შეძენის თანადაფინანსებას, რომელიც საბიუჯეტო პროცედურების მიხედვით დაზუსტდება შემდგომში), შესაბამისად მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას შემოსულობებიდან და გადასახდელებიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით წარდგენილ ბიუჯეტში შეტანილ იქნეს ცვლილებები. დადგენილების პროექტი წარმოდგენილია ცვლილების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14
არ ესწრებოდა 2 (ნ. ცინცაძე, თ. კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასის ზრდა. ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 13
არ ესწრებოდა 3 (ნ. ცინცაძე, თ. კახიძე,
დ. მახარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 4. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 2021 წლის 19 ნოემბერს:10/1421323268-14 განცხადებით მომართა შპს „ალიანს სიტმა“ და მოითხოვა დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე (ს/კ 05,23,04,021), მისი ფართი შეადგენს 18815,0 კვ.მ.

წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის და საპროექტო შენობის სიმაღლის გაზრდას.

ა ბლოკი - ±0.00-დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 180.30 მ.

ბ ბლოკი - 0.00-დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 198.30 მ.

ც ბლოკი - ±0.00-დან საცხოვრებელი საართულის გადახურვის ფილის ზედა ნიშნულამდე შეადგენს 180.30 მ.

შენობა- ნაგებობის არქიტექტურული ელემენტის ნიშნული შეადგენს 230.00 მ.

კ-2 კოეფიციენტი განისაზღვრა 18,0

ა) კ-1 კოეფიციენტი დარჩეს უცვლელი 0,7

ბ) კ-2 კოეფიციენტი გაიზარდოს 15-იდან 18-მდე

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე - აღნიშნული საკითხი კომისიის სხდომებზე დეტალურად იქნა განხილული.

სხდომის თავმჯდომარე სულიკო თებიძე - დასვა კითხვა თუ არის დაცული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნები და თუ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა უწყების, ორგანიზაციის დადებითი დასკვნები, რაზედაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ორივე საკითხზე დაცულია კანონმდებლობით მოთხოვნილი დასკვნები. ასევე გაწერილია საჭიროებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა, რაც უნდა წარმოადგინოს კომპანიამ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შპს „ორბი ჯგუფი ბათუმმა“ (ს/N445468798) განცხადებით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება. საფუძვლები: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 16 მარტის №14.14210759 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N14; ფიროსმანის ქუჩაზე, სპორტ სკოლის მიმდებარედ და ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. N7ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე NN05.24.05.218 და NN05.24.05.250 მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობის მიზნით წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

საფუძველი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 სექტემბრის NNგ15.15212593 განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს: გეგმარებითი ერთეული მოქცეულია ფიროსმანის, ყიული შარტავას, შ. ხიმშიაშვილისა და დავით ხახუტაიშვილის ქუჩებს შორის და მოიცავს მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით: 05.24.05.218, 05.24.05.250, 05.24.05.246, 05.24.05.247, 05.24.05.237, 05.24.05.222 და 05.24.05.102.

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა N14-ში, სპორტ სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. N05.24.05.218) და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N7ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება.

გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების (საკ.კოდები: N05.24.05.218, N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია დადგენილი 3 2 მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ1/კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, რაც იწვევს დაგეგმვის საჭიროებას.

გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია სასტუმროს დანიშნულების მრავალსართულიანი შენობის განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=14,0-მდე, საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს შერეული ზონაში (შზ), ხოლო განაშენიანების გეგმის

მიხედვით კი საქმიან ზონაში (შზ-3), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $k_2=4,6$ -მდე.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ თანახმად განაშენიანების ინტენსივობის - k_2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება უნდა კომპენსირდებოდეს სხვა ღონისძიებებით.

კანონმდებლობით განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს: საპროექტო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.24.05.218, N05.24.05.250) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $k^{1/2}$ მაჩვენებლის 5 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემით ან დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $k^{1/2}$ მაჩვენებლის 5 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობის საბაზრო ღირებულების ოდენობით სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით (მათ შორის სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართობის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით).

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -2(თ. კახიძე, ი. პატარიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრის დროს გამოყენებული იქნა მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.29.09.012, რომელიც დაყოფილია ს/კ №05.29.09.014 და ს/კ №05.29.09.015) შეფასება. 1 კვ.მ მიწის საპრივატიზებო

ღირებულება 728 ლარი; 5%- 36,4 ლარი; აუდიტის დასკვნა -სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო, დასკვნა №001240321, 26.02.2021 წ) .

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14
არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კოშკი) სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის 2006 წლის 07 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (რეესტრის №1-2329; შეთანხმება N258/11, 23.08.2011წ.-აღნაგობა) შესაბამისად, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" 11 წლით იჯარით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, საზღვაო ნავსადგურის მიმდებარედ არსებულ სკვერში მდებარე ორი, 20-20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლებზეც განთავსებულია სანავიგაციო სახაზო ნიშანი-კოშკი. ქ. ბათუმის მერიასა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის 2011 წლის 23 აგვისტოს შეთანხმებით ხელშეკრულებას ეწოდა აღნაგობის ხელშეკრულება და აღნაგობის საზღაურად ორივე მიწაზე განისაზღვრა 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის 2015 წლის 15 მაისს გაფორმებული შეთანხმებით, #05.21.20.044 საკადასტრო კოდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებულ 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ჩაენაცვლა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. შესაბამისად, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" სარგებლობაში იმყოფება ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. №05.21.20.046)

და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (სანავიგაციო კოშკი), როგორც შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" საქმიანობისათვის აუცილებელი ობიექტი. 2017 წლის 07 აპრილს ზემოთაღნიშნულ აღნაგობის ხელშეკრულებას გაუვიდა ვადა. შემდგომში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის მიმდინარეობდა მიმოწერები აღნიშნული ობიექტის შპს "ბათუმის ნავთობტერმინალი"-სათვის იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე და ხორციელდებოდა ღონისძიებები უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირის დადგენის მიზნით მიწის ნაკვეთზე განთავსებული სანავიგაციო კოშკის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის შესახებ. აუდიტის დასკვნით (ბთ/მ-84; 04.06.2020წ.) ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.21.20.046) საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 14 000,0 ლარით, ხოლო და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კოშკი) – 80 000,0 ლარით. სულ უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა 94 000,0 ლარი. წლიური საიჯარო ქირა არანაკლებ: 94 000,0 ლარის 5%-ს, ანუ 4700,0 ლარისა.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს "ბათუმის ნავთობტერმინალი"-ს თხოვნა და მას 11 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ზემოთაღნიშნული უძრავი ქონება, როგორც შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" საქმიანობისათვის აუცილებელი ობიექტი. ქონებით სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 5000,0 ლარით. ამასთან, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" დაეკისროს 2006 წლის 07 აპრილის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის - 2017 წლის 07 აპრილის შემდგომ პერიოდში უძრავი ქონებით სარგებლობის საფასურის გადახდა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ი. თოფურბე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მერიასა და ფიზიკურ პირებს: ალექსანდრე ტარიელაძეს, გური გურგენაძეს, მურმან გოგიტიძეს, ქეთევან ვაშაყმაძესა და ნაილე ჩავლეიშვილს შორის 2006 წლის 25 ოქტომბერს ნოტარიულად გაფორმებული (რ/№01-3854) იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (რომელიც გულისხმობდა აღნაგობის უფლებასაც), სავაჭრო რიგის (პავილიონების) მშენებლობის მიზნით, სარგებლობაში გადაეცათ ქალაქ ბათუმის მერიის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, აღმაშენებლის N19ა-ს მოპირდაპირედ მდებარე 283,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.05.10.026 (23.04.2010 წ-დან დაზუსტებული საკადასტრო კოდი: 05.25.10.025)). სარგებლობის უფლების მქონე პირთა მიერ მიწის ნაკვეთზე, ხელშეკრულების შესაბამისად, აღმართული იქნა შენობა-ნაგებობა (სავაჭრო ობიექტები):

1. ქალაქ ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ მდებარე 75,80 კვ.მ **მაღაზია (#3,11,13)** ანტრესოლით (ს/კ:05.25.10.025 (წინა ნაკვეთი ს/კ:05.05.10.026)) 2008 წლის 10 მარტს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა (#882008061977) **ქეთევან ვაშაყმაძის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს. სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობანა-გებობის ფართობი და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია #3,11,13-ის ფართობი განისაზღვრა/დაზუსტდა **75,80** კვ.მ-ის ნაცვლად **78,96** კვ.მ.

ხელშეკრულებით განსაზღვრული აღნაგობის უფლების ვადის (17.10.2017წ.) ამოწურვის შემდეგ, მართლზომიერად მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე მიწის ნაკვეთით, შენობა-ნაგებობასთან ერთად სარგებლობის შემთხვევაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოსარგებლე ვალდებულია ამ პერიოდისათვის გადაიხადოს ქონების სარგებლობის საფასური, რაც წელიწადში შეადგენს ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%-სა.

2020 წლის 18 აგვისტოს შ.პ.ს. „აუდიტ-ეკონომიქსი“-ს დასკვნის (№ბთ/მ-75) საფუძველზე განხორციელდა ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა №19ბ-ში 283 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მასზე აღმართული 345,77 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულების დადგენა (ს/კ:05.25.10.025). 345,77 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება შეადგენს 884 640,45 ლარს, ხოლო 283,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 155 650.00 ლარს (ს/კ:05.25.10.025).

შესაბამისად, სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოყენებული **78,96 კვ.მ.** შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 202019,16 ლარით, ხოლო 64,6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 35 530 ლარის ოდენობით, ჯამში - 237 549,16 ლარი (202019,16+35530=237549,16). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს - 11877,46 ლარს** (237 549,16*5%), ხოლო ყოველდღიური გადასახდელი თანხა - **32,5** (ოცდათორმეტ ლარს და 50 თეთრს) ლარს (11877,46 /365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - 48100 ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ქეთევან ვაშყამიძისათვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**68551,46 ლარი**). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

2. 2012 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმამენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ **18 კვ.მ** (თვრამეტი) **#1 სავაჭრო** წერტილი (ს/კ:05.25.10.025) დარეგისტრირდა (განცხადების რეგისტრაციის #892012071984) **მამუკა ხარაძის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს. 2018 წლის 20 სექტემბერს მამუკა ხარაძის გარდაცვალების (მოწმობა #77187003958) შემდგომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2019 წლის 21 მარტის (#8820019209031) განცხადების რეგისტრაციის საფუძველზე მემკვიდრე გახდა 2010 წლის 14 ივლისს დაბადებული არასრულწლოვანი **ალისია ხარაძე** (პ/ნ:61650006114), ხოლო მისი კანონიერი წარმომადგენელი **ანაიდა პეტროსიანი** (პ/ნ:01027015989). საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანით საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო სრულად, მასში შემავალი აქტივებითა და პასივებით (მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები მესამე პირთა მიმართ).

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და შემდგომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, რომლის ფართობი განისაზღვრა/დასუსტდა **18 კვ.მ-ის** ნაცვლად **19,47 კვ.მ.**

19,47კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 49 814 - ლარით, ხოლო 15,94 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 8 767- ლარის ოდენობით, ჯამში 58 581 ლარი (8 767+49 814=58581). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს 2 929,05 ლარს** (58 581*5%), ხოლო ყოველდღიური გადასახდელი თანხა კი **8** (რვა) ლარს (2 929,05/365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **11840** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ალისია ხარაძისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**16903,46** ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

3. 2007 წლის 29 ოქტომბრის გაფორმებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე აღმაშენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ **16,20** კვ.მ **მაღაზია #2** და 29,80 კვ.მ. **მაღაზია #12** დარეგისტრირდა **მარინა მაკარაძის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და შემდგომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია #2 და #12-ის ფართობი განისაზღვრა/დასუსტდა **46** კვ.მ-ის ნაცვლად **48,62** კვ.მ.

48,62 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 124 394,27 - ლარით, ხოლო 39,79 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 21 884,5 ლარის ოდენობით, ჯამში 146 278,77 ლარი (124 394,27+21 884,5=146 278,77). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს 7 313,90 ლარს** (146 278,77*5%), ხოლო ყოველწლიური გადასახდელი თანხა შეადგენს 20 (ოცი) ლარს (7 313,90/365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **29600** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მარინე მაკარაძისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**42210,91** ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

4. 2014 წლის 30 ივნისს გაფორმებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე აღმაშენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ **#5 მაღაზია 16,20** კვ.მ, დარეგისტრირდა (**#882008096514**) **ირაკლი გურგენაძის** და **ელენე გურგენაძის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა

ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია #4-ის ფართობი განისაზღვრა/დაზუსტდა **16,20** კვ.მ-ის ნაცვლად **19,14** კვ.მ.

19,14 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 48 969,69 ლარით, ხოლო 15,67 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 8 618,50 ლარის ოდენობით, ჯამში -57588,19 ლარი (48 969,69+8 618,50=57 588,19). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს - 2879,41 ლარს** (57 588,19*5%), ხოლო ყოველდღიური გადასახდელი თანხა - **7,89** (შვიდი ლარი და 89 თეთრი) ლარს (2879,41/365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **11677,2** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ირაკლი გურგენაძისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**16616,96** ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

5. 2008 წლის 07 აპრილს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმაშენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ **#6 მაღაზია 16,20** კვ.მ, **#10 მაღაზია 29** კვ.მ. დარეგისტრირდა (#882008096953) **თამარ ხომერიკის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და შემდგომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია #6 და მაღაზია #10 ფართობი განისაზღვრა/დასუსტდა **45,20** კვ.მ-ის ნაცვლად **49,34** კვ.მ.

49,34 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 126 236,39 ლარით, ხოლო 40,38 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 22 209 ლარის ოდენობით, ჯამში - 148445,39 ლარი (22209+ 126236,39=148 445,39). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს - ლარს 7 422,27** (148 445,39 *5%), ხოლო ყოველდღიური გადასახდელი თანხა - **20,35** (ოცი ლარი და 35 თეთრი) ლარს (7 422,27/365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **30118** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა

განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ თამარ ხომერიკისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**42836** ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

6. 2008 წლის 28 მარტს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმაშენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ **#4 მაღაზია 16,20** კვ.მ, დარეგისტრირდა (#882008086962) **თამარ პაიჭაძის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია #4 ფართობი განისაზღვრა/დასუსტდა **16,20** კვ.მ-ის ნაცვლად **16,38** კვ.მ.

16,38 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 41 908,23 ლარით, ხოლო 13,4 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 7 370 ლარის ოდენობით, ჯამში - 49278,23 ლარი (7 370 + 41 908,23 = 49278,23). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს - ლარს 2463,95** (49278,23*5%), ხოლო ყოველწლიური გადასახდელი თანხა - **6,75** (ექვსი ლარი და 75 თეთრი) ლარს (2463,95 / 365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **9990** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ თამარ პაიჭაძისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**14220,78** ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

7. 2010 წლის 16 სექტემბრის გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმაშენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ **#14 მაღაზია 29,8** კვ.მ, დარეგისტრირდა (#882010540171) **ნანი ტაკიძის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის

ფართობი და შემდგომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია #14-ის ფართობი განისაზღვრა/დასუსტდა **29,8** კვ.მ-ის ნაცვლად **30** კვ.მ.

30 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 76 755 ლარით, ხოლო 24,55 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 13 502,5 ლარის ოდენობით, ჯამში - 90 257,50 ლარი (76 755 +13 502,5 =90 257,50). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს - ლარს 4512,88** (90 257,50 *5%), ხოლო ყოველდღიური გადასახდელი თანხა - **12,36** (თორმეტი ლარი და 36 თეთრი) ლარს (4512,88 /365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **18292,8** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ნაწი ტაკიძისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**26045,4** ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

8. ქალაქ ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქ. №19ა-ს მოპირდაპირედ მდებარე **28.0** კვ.მ **მაღაზია (№9)** ანტრესოლით (ს/კ:05.25.10.025 (წინა ნაკვეთი ს/კ:05.05.10.026)) 2009 წლის 07 აპრილს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დარეგისტრირდა (№882009122990) გია სალუქვაძის აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია (#9) ფართობი განისაზღვრა/დასუსტდა **28.0** კვ.მ-ის ნაცვლად **32,39** კვ.მ. 2021 წლის 07 აპრილს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის წამომადგენლის მიერ ადგილზე დათვალიერებით დადგინდა, რომ დ. აღმაშენებლის ქ. №19ბ-ში მდებარე (მაღაზია №9 ანტრესოლით) **26,5** კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ **32,39** კვ.მ. შენობა-ნაგებობას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს გივი სალუქვაძე (გია სალუქვაძის შვილი), რასაც ადასტურებს აქტზე ხელმოწერით.

აქვე, გია სალუქვაძის გარდაცვალების შემდგომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ განცხადების რეგისტრაციის საფუძველზე მემკვიდრე გახდა **მარიამ სალუქვაძე** (პ/ნ 61001079737). საქალარტველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანით საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო სრულად, მასში შემავალი აქტივებითა და პასივებით (მამკვიდრებლის შეუსრულებელი ვალდებულებები

მესამე პირთა მიმართ).

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია (#9) ფართობი განისაზღვრა/დაზუსტდა **28.0** კვ.მ-ის ნაცვლად **32,39** კვ.მ.

32,39 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 82869,80 ლარით, ხოლო 26,5 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 14575 ლარის ოდენობით, ჯამში - 97444,80 ლარი (82869,80 +14575 =97444,80). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს - 4872,24 ლარს** (97444,8*5%), ხოლო ყოველდღიური გადასახდელი თანხა - **13,35** (ცამეტი ლარი და 35 თეთრი) ლარს (4872,24/365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **19758** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მარიამ სალუქვაძისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (**28120,35** ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

9. 2017 წლის 10 აპრილს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმამშენებლის ქ. N19ა-ს მოპირდაპირედ მდებარე **მაღაზია N7** (ანტრესოლით) **16,20** კვ.მ, დარეგისტრირდა **თეა ხალვაშის** აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, მაღაზია N7-ის ფართობი განისაზღვრა/დაზუსტდა **16,20** კვ.მ-ის ნაცვლად **19,62** კვ.მ.

19,62 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 50 197,77 ლარით, ხოლო 16კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება - 8800 ლარის ოდენობით, ჯამში - 58 997,77 ლარი (50 197,77+8800=58 997,77). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც **წელიწადში შეადგენს - 2949,89 ლარს** (58 997,77 *5%), ხოლო ყოველდღიური გადასახდელი თანხა - **8** (რვა) ლარს (2949,89 /365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - **11840** ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა

განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ თეა ხალვაშისთვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (17033,68 ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

10. 2012 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმაშენებლის ქ. #19ა-ს მოპირდაპირედ 23 კვ.მ (თვრამეტი) #8 სავაჭრო წერტილი (ს/კ:05.25.10.025) დარეგისტრირდა (განცხადების რეგისტრაციის #892012071984) გოჩა ტარიელაძე (ალექსანდრე ტარიელაძის შვილი - წარმოსადგენი აქვს სამკვიდრო მოწმობა) აღნაგობის უფლებად. ხელშეკრულების „5.1“ პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცა 11 წლით, ვადა აითვალა მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ სანოტარო დადასტურებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება სანოტარო წესით დადასტურდა 2006 წლის 25 ოქტომბერს, შესაბამისად სარგებლობის ვადა ამოიწურა 2017 წლის 25 ოქტომბერს. სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს დაზუსტდა შენობა-ნაგებობის ფართობი და შემდგომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, რომლის ფართობი განისაზღვრა/დასუსტდა 23 კვ.მ-ის ნაცვლად 31,85 კვ.მ. 31,85 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 81 488,23 - ლარით, ხოლო 26 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 14 300 - ლარის ოდენობით, ჯამში 95 788,23 ლარი (81 488,23+14 300=95 788,23). მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წლიური სარგებლობის საფასური არის საბაზრო ღირებულების არანაკლებ 5%, რაც წელიწადში შეადგენს 4789,42 ლარს (95788,23*5%), ხოლო ყოველწლიური გადასახდელი თანხა კი 13,13 ლარს (4789,42/365).

2017 წლის 25 ოქტომბერიდან უძრავი ქონებით თვითნებურად სარგებლობის საფასურის დავალიანების (2021 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით - 19432,4 ლარი, რომელიც დაზუსტდება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის) გაქვითვა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ალექსანდრე ტარიელაძე მიწის ნაკვეთზე აღნაგობის საფუძველზე აღმართული შენობის ღირებულების 2/3 ოდენობით ასანაზღაურებელი თანხიდან (27651,52 ლარი). დარჩენილი თანხა ჩაეთვალოს უძრავი ქონების სარგებლობის საფასურში, წლების მიხედვით თანხის ამოწურვამდე, ხოლო შემდგომ ხელშეკრულების დასრულებამდე გადაიხადოს ყოველწლიური სარგებლობის საფასური.

ზემოაღნიშნულმა ყოფილმა მოაღნაგებმა რამდენჯერმე მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, ბოლოს 2021 წლის 17 სექტემბერს (№22/1421260303-14), ადრე აღნაგობის უფლებით მის სარგებლობაში არსებული ქონების 2/3 თანხის სანაცვლოდ პირდაპირი წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე .

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 03 აგვისტოს N5/48898 (06-1421215429-14) და 15 ნოემბრის N5/71179 (N06-1421319572-14) წერილები, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ- „სურსათის ეროვნული სააგენტომ“ 2021 წლის 26 ივლისის N09/4882 წერილით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარადგინა პოზიცია, რომლის თანახმად, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N127-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (ს.კ. 05.26.02.604), სსიპ - „სურსათის ეროვნულ სააგენტო“-ს ოფისის მშენებლობის დასრულების შემდგომ, სსიპ-„სურსათის ეროვნულ სააგენტო“ წინააღმდეგე არ არის ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N46ა-ში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფართები (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.21.55.021.01.501; 05.21.55.021.01.502 და 05.21.55.021.01.500) შესაბამის წილ მიწის ნაკვეთ(ებ)თან ერთად საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა (N14-1421195225, 14.07.2021წ; N14-1421298754, 25.10.2021წ.) და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (5/48898, 03.08.2021წ; N5/71179, 15.11.2021წ.) შორის განხორციელდა მიმოწერები. მათგან გამომდინარე და სსიპ -სურსათის ეროვნული სააგენტოს (N09/3890, 21.06.2021წ; N09/4882, 26.07.2021წ) წერილებში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასრულების შემდგომ სახელმწიფოს მრიდან უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N46ა-ში, სართული I, ფართი 54,80 კვ.მ. (ს.კ.05.21.55.021.01.501); ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N46ა-ში, სართული I, ფართი 15,50 კვ.მ. (ს.კ.05.21.55.021.01.502) და ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N46ა-ში, სართული I, ფართი 150,20 კვ.მ. (ს.კ.05.21.55.021.01.500) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების (მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთ(ებ)თან ერთად) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა. შესაბამისად, სახელმწიფოსათვის განკარგულებით გათვალისწინებული ქონების უსასყიდლოდ,

საკუთრების უფლებით გადაცემა უნდა მოხდეს პოზიტიური პირობით. გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N127-ში მდებარე, 670,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N05.26.02.604) სახელმწიფოს საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N46ა-ში, სართული I, ფართი 54,80 კვ.მ. (ს.კ.05.21.55.021.01.501); ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N46ა-ში, სართული I, ფართი 15,50 კვ.მ. (ს.კ.05.21.55.021.01.502) და ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N46ა-ში, სართული I, ფართი 150,20 კვ.მ. (ს.კ.05.21.55.021.01.500) ფართების (მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთ(ებ)თან ერთად) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ნიკოლოზ გოგოლის ქუჩა N11გ-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის N5306/02 (N07-1421322562-14; 18.11.2021წ.) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა სს „მეტრო მოლ ოფ აჭარამ“ (ს/ნ 445482674) 2021 წლის 13 სექტემბრის N1421256312-03 კორესპონდენციით, რომელშიც აღნიშნავს, რომ თვითმმართველი ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №05.29.17.034) გასწვრივ, ნავთობრეზერვუარების მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს არხი, რომლიც საჭიროებს

სრულ რეაბილიტაციასა და მოვლა - პატრონობას. არხის არსებული სახით შენარჩუნება დაბრკოლებებს უქმნის არა მხოლოდ ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესებს, არამედ, მკვეთრად უარყოფითად აისახება ქალაქის იერსახესა და ვიზუალზე. ამასთან, სს „მეტრო მოლ ოფ აჭარა“ საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №05.29.17.075) ახორციელებს მრავალფუნქციური შენობა - ნაგებობების მშენებლობის პროცესის წარმართვასა და მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პროექტის რეალიზებას. ასევე მიუთითებს, რომ დასახული მიზნის მიღწევისათვის საჭიროა ტერიტორიული არეალის გაფართოვება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავ ქონების - ს/კ №05.29.17.034 და მის გასწვრივ მდებარე დაურეგისტრირებული 2099.00 კვ.კმ მიწის ნაკვეთის ხარჯზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, სს „მეტრო მოლ ოფ აჭარა“ ითხოვს პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცეს თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება, ს/კ №05.29.17.034 და მითითებული ქონების გასწვრივ მდებარე დაურეგისტრირებული 2099.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი. იმ პირობით, რომ კომპანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობის გზით, (მათ შორის, არხის რეაბილიტაციის პროექტის შეთანხება) უზრუნველყოფს, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის გასწვრივ მდებარე არხის (2068.00 კვ.მ) კეთილმოწყობას, მოთხოვნის დაკმაყოფილებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში და ამ მიზნით, 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის დახარჯვას. ამასთან, კომპანიას მიზანშეწონილად მიაჩნია არხის ტერიტორიის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებად აღრიცხვა, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა, როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი თვალსაზრისით.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია შესაძლებლად მიიჩნევს სს „მეტრო მოლ ოფ აჭარა“-ს მიერ წარმოდგენილი წინადადების განხორციელებას ქ. ბათუმში, ნიკოლოზ გოგოლის ქ. #11გ-ში მდებარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1024.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.29.17.034) პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის გზით და იმ პირობით, რომ მისი საპრივატიზებო (საბაზრო) ღირებულება ჩაერიცხება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში და სს „მეტრო მოლ ოფ აჭარა“-ს დაეკისრება აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული არხის (2068 კვ.მ.) კეთილმოწყობის ვალდებულება. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმში, ნიკოლოზ გოგოლის ქ. #11გ-ში მდებარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1024.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.29.17.034) შემდგომში ზემოთაღნიშნული პირობებით, პირდაპირი წესით სს „მეტრო მოლ ოფ აჭარა“-ზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს:

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის №104ა-ს მიმდებარედ არსებული 185,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№10/142122284-14; 10.08.2021წ) მომართა შპს „მუხრანის პურმა“ (ს/ნ №445505338) სადაც განმარტავს, რომ ქ. ბათუმში ფრიდონ ხალვაშის გამზირის №104ა-ში საკუთრებაში გააჩნიათ 572.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.32.07.592). სადაც დაგეგმილი აქვთ პურის საწარმოსა და სავაჭრო ობიექტის მშენებლობა, ასევე პურის ეწ „მაკდრაივი“-ს მოწყობა. კომერციული ობიექტის საქმიანობის გაფართოვების და ხელშეწყობის ითხოვენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის №104ა-ს მიმდებარედ არსებული 185.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.32.25.119) სარგებლობაში გადაცემას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს „მუხრანის პური“-ს განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ 572.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი (ს/კ 05.32.07.592) კომერციული ობიექტის საქმიანობის გაფართოვების და ხელშეწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის №104ა-ს მიმდებარედ არსებული 185.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №05.32.25.119). მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით. მიწის საპრივატიზებო ღირებულება 75 665 ლარი; 5%- 33783.5 ლარი; აუდიტის დასკვნა -სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო, დასკვნა №007912821, 12.11.2021წ)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 12. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული გარემოებების გამო საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გაცემასთან და გაცემის შეღავათიანი საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15.15211174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედებდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15211174 განკარგულება, გარე და გამოტანითი ვაჭრობის განხორციელებისათვის საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ.

კორონავირუსის (COVID-19) კიდევ უფრო გამწვავების შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშწყობისა და მათი სამეწარმეო საქმიანობის შეუფერხებლად მუშაობისათვის, რომელსაც იყენებს ფიზიკური და იურიდიული პირები, (რესტორნები, კაფე-ბარები, მაღაზიები, მარკეტები და სხვა), ასევე I კლასის შენობა-ნაგებობის განთავსებისა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებათა გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №გ-15211174 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და გარე ვაჭრობისთვის საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის ვადა გაგრძელდეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე. პროექტის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, საზოგადოებრივი სივრცეების (ტროტუარი და სხვა) ეფექტურად გამოყენება, სავაჭრო-კომერციული დანიშნულების ობიექტების შეუფერხებლად მუშაობა და ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 22 ნოემბრის №5425/02 (07-1421326767-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 ნოემბრის N14-14213231000 კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია ძველ პერიოდში აშენებული ავარიული სახლები, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაშია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული სახლებიდან 21 სახლი არის მობინადრეთა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი. ამჟამად მიმდინარეობს ზოგიერთი ავარიული სახლიდან მოსახლეობის გაყვანის

ღონისძიებები. ასევე, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების პროცედურები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში დარეგისტრირებას. შემდგომში, ავარიული სახლებიდან გაყვანილი მოქალაქეებისათვის პირდაპირი წესით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, თანახმად დანართისა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 25 (ოცდახუთი) ერთეული უძრავი ქონება.

შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 25 (ოცდახუთი) ერთეული უძრავი ქონება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(ნ. ცინცაძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(თ. კახიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მომხრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების

შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

~

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი თემურ კახიძე - დასვა კითხვა საზღვაო აკადემიის პრივატიზების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ობიექტის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანამდე მოხდა მიმოწერა აკადემიასთან, მათი მოსაზრებების გათვალისწინება მოხდა.

საკრებულოს წევრი თემურ კახიძე - 2012 წელს როდესაც ებრძოდნენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, მაშინ ერთ-ერთი საკითხი იყო საზღვაო აკადემიასთან დაკავშირებით პრივატიზაცია, რადგანაც მიზანმიმართულად ხდებოდა აკადემიის დასუსტება, რათა მომხდარიყო ამ ობიექტის გასხვისება. სამწუხაროა, რომ ცხრა წლის შემდეგ ხდება ამ ობიექტის თაობაზე საუბარი, იგივე პროცესი დაიწყეთ დღეს, რაც ცხრა წლის შემდეგ დაიწყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს.

მომხსენებელი - შენობის დემონტაჟი არ მოხდება, სანამ არ აშენდება სხვა შენობა.

საკრებულოს წევრი თემურ კახიძე - ისაუბრა აკადემიის პერსპექტივებზე და მოუწოდა კოლეგებს აღნიშნულის საკითხის ყურადღებიანად განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(თ. კახიძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 15. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის 2021 წლის 01 ივნისს დადებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის

ხელშეკრულება №9“-ში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებისა (ცვლილება: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №გ-15.15210892 განკარგულება - 30.03.2021წ.) და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 აპრილის №ბ14.14.2111217 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 3946,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.742) და ქალაქ ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 5958,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.743) ერთ ლოტად პრივატიზებულ პირობებიან ელექტრონულ აუქციონზე (განაცხადის #:42IMF121 , აუქციონი #:42), აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №05/2021 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) თანახმად გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „შინჩიბა“ (ს/ნ 445598443).

2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმდა „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“.

ზემოთ აღნიშნული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №05/2021 ოქმისა (ადმინისტრაციული დაპირების) და 2021 წლის 01 ივნისის №9 პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების თანახმად შპს „შინჩიბა“-მ სხვა ვალდებულებებთან ერთად იკისრა შემდეგი ვალდებულება: „2.3. აუქციონში გამარჯვებულისთვის ცნობილია, რომ საპრივატიზებო მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არსებულ №05.27.15.744 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება ქუჩის მშენებლობა (მოწყობა), რომელიც უნდა შეუერთდეს არსენა ოძელაშვილის ქუჩას, რიც საშუალებასაც არ იძლევა კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქ. №4ა-ში მდებარე 171,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 113,27 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722). აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვეში, მესაკუთრესთან უშუალო შეთანხმებით და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღნიშნული უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) მესაკუთრისგან გამოსყიდვა, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელება.“.

2021 წლის 01 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებიდან 6 (ექვსი) თვეში (ანუ 2021 წლის 01 დეკემბრამდე) შპს „შინჩიბა“ ვალდებულია მესაკუთრესთან უშუალო შეთანხმებით და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ქ. ბათუმში, ოძელაშვილის ქ. №4ა-ში მდებარე 171,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 113,27 კვ.მ. შენობა-ნაგებობა ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) მესაკუთრისგან გამოსყიდვა, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და ამ მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელება.

2021 წლის 17 ივნისს №10/1421168661-14 განცხადებით მომართა შპს „შინჩიბა“-მ, სადაც აღნიშნა, რომ შპს „შინჩიბა“-მ აწარმოა მოლაპარაკებების პროცესი უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) მესაკუთრესთან - შპს „ჯი.არ.აი“-ს (ს/ნ 445587491) უფლებამოსილ წარმომადგენელთან, მიუხედავად იმისა, რომ შპს „შინჩიბა“-მ ზემოთ მითითებული ვალდებულების ჯეროვანი და სრულყოფილი შესრულების მიზნით, მის ხელთ არსებული მატერიალური/ადამიანური რესურსების სრული მობილიზება მოახდინა და მაქსიმუმი გააკეთა იმისათვის, რომ „გამოესყიდა“ შპს „ჯი.არ.აი“-სგან უძრავი ქონება, ყოველგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, მოლაპარაკებების პროცესი ჩაიშალა და ითხოვა ხელშეკრულების 2.3.-ე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების ნაცვლად შპს „ჯი.არ.აი“-სგან უძრავი ქონების გამოსყიდვისა, უზრუნველყოფს მრავალფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 300 (სამასი) ნომრიანი სასტუმროს აშენება, რისთვისაც საჭიროა 2021 წლის 17 ივნისს №10/1421168661-14 განცხადებაზე დართულ (სიტუაციურ ნახაზზე) „მონიშნული“ უძრავი ქონება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 13 ივლისის №14-1421194631 წერილით ეთხოვა შპს „შინჩიბა“-ს წარმოედგინა დეტალური ინფორმაცია (წერილობითი მტკიცებულებები) №05.27.15.722 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გამოსყიდვის საკითხზე შეთანხმების მიღწევის მიზნით შპს „შინჩიბა“-ს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, ასევე ეთხოვა შპს „შინჩიბა“-ს გაეგრძელებინა მესაკუთრესთან მოლაპარაკებები, უზრუნველყო მითითებული ქონების გამოსყიდვა და ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების სრულად შესრულება.

2021 წლის 14 ივლისს №10/1421195621-14 განცხადებით მომართა შპს „შინჩიბა“-მ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 13 ივლისის №14-1421194631 წერილის პასუხად, დანართის სახით, წარმოადგინა 2021 წლის 14 ივლისის შპს „ჯი.არ.აი“-ს დირექტორის სახელზე გაგზავნილი განცხადება.

2021 წლის 17 აგვისტოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „შინჩიბა“-მ №10/1421229240-14 განცხადებით, სადაც აღნიშნულია, რომ მიმართა 2021 წლის 04 აგვისტოს განცხადებით შპს „ჯი.არ.აი“-ს დირექტორს და კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.15.722) გამოსყიდვის თაობაზე, რომელიც შპს „ჯი.არ.აი“-ს (ს/ნ 445587491) უფლებამოსილ წარმომადგენლის მიერ დარჩა რეაგირების გარეშე. ასევე განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით №05.27.15.722 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულება შეადგენს - 257 369 (ორასორმოცდაჩვიდმეტიათას სამასსამოცდაცხრა) ლარს და

სთავაზობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომ მითითებულ 257 369 (ორასორმოცდაჩვიდმეტიათას სამასსამოცდაცხრა) ლარს ჩარიცხავდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე , და სანაცვლოდ გათავისუფლებული ყოფილიყო ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

2021 წლის 01 სექტემბერს №10/1421244129-14 განცხადებით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „შინჩიბა“-მ, სადაც ითხოვა, რომ №05.27.15.743 და №05.27.15.742 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარე №05.27.15.744 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გადაცემოდა საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით და 2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ნაცვლად განახორციელებს საინვესტიციო პროექტს, კერძოდ, უზრუნველყოფს მრავალფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 300 ნომრიანი სასტუმროს აშენებას.

„ქ. ბათუმში, მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე მდებარე 5958,00 კვმ და 3946,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შემძენის - შპს „შინჩიბას“-ს სახელზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მერის 2021 წლის 23 სექტემბრის №814.14212666 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 23 სექტემბერს გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №106 და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №105, რომელთა საფუძველზეც 2021 წლის 28 სექტემბრიდან ზემოთ აღნიშნული №05.27.15.742 და №05.27.15.743 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრე გახდა შპს „შინჩიბა“.

2021 წლის 24 სექტემბერს №10/1421267316-14 განცხადებით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შპს „შინჩიბა“-მ, სადაც ითხოვა, რომ №05.27.15.743 და №05.27.15.742 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მდებარე №05.27.15.744 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გადაცემოდა საკუთრებაში პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სადაც განცხადებაზე დართული ესკიზის შესაბამისად მოაწყობს მიწისქვეშა პარკირებას და ამ ტერიტორიას უფლებამოსილი ორგანოს სასარგებლოდ დატვირთავს სერვიტუტით, ხოლო უშუალოდ მის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც არ გავრცელდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი სანივთო სამართლებრივი შეზღუდვა, უზრუნველყოფს მრავალფუნქციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 300 ნომრიანი სასტუმროს აშენებას, 2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ნაცვლად.

2021 წლის 24 სექტემბერს შპს „შინჩიბა“-მ მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას №10/1421267316-14 განცხადებით, სადაც აღნიშნა, რომ შპს „ჯი.არ.აი“-სთან კვლავ გრძელდება მოლაპარაკებების პროცესი და ითხოვა 2021 წლის 01 ივნისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „შინჩიბა“-ს შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება №9“-ში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების 2.3. პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელშიც მითითებული 6 თვის ნაცვლად განისაზღვროს 9 თვე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14
არ ესწრებოდა: 2(თ. კახიძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 6 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარგენილია სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ საცხოვრებელ ბინებში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადება, რომლებიც ითხოვენ ბინების საკუთრებაში გადაცემას.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2021 წლის 24 ნოემბრის N1/1-6202 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოცა 6 ბინა, რომლებიც დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 6 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14
არ ესწრებოდა: 2(თ. კახიძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასის ზრდას. ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14
არ ესწრებოდა: 2(თ. კახიძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 18. „ქალაქ ბათუმში, ახალი ბულვარის მიმდებარედ, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასაწყისში, წრიულთან არსებულ მწვანე ზოლში, ლეხ კაჩინსკის ძეგლის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმში, ახალი ბულვარის მიმდებარედ, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დასაწყისში,

წრიულთან არსებულ მწვანე ზოლში, განთავსდეს ლეხ კაჩინსკის ძეგლი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის, ადგილმდებარეობის) მიხედვით. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბიუსტის განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს პოლონეთის რესპუბლიკა, ქვემო სილეზიის რეგიონი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 2(თ. კახიძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი. თავართქილაძე – საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი